ყოველ-კვირეული სამეურნეო საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი



# სასოფლო გაზეთი

№ 14 1920 წ. კვირა, ენკენისთვის 19-ს, წელიწადი პირველი № 14

ფასი 10 მან.

**გაზეთს აქვს შემდეგი განყოფილებანი:**
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა. სასოფლო ცხოვრება, სიტყვა-კაზმული მწერლობა და სხვა.

**„სასოფლო გაზეთში“**
მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები, ცნობილი მწერლები და გამოცდილი მეურნენი. რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში. —— **გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო № 10 მან.** —— კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპ. № 25, გაზეთ „საქართველო“-ს ბინაზე.

## ევროპიელი სოციალისტები საქართველოში.

ამ კვირაში ჩვენს სამშობლოს, ევროპის სოციალისტების წარმომადგენელნი ესტუმრენ.

დელეგაციაში არიან ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის სოციალისტები. მათი მიზანია გაეცნონ საქართველოს ეხლანდელს მდგომარეობას. ჩვენთვის, რასაკვირველია, მეტად სასურველია, რომ ევროპიდან რაც შეიძლება მეტი სხვა და სხვა წრის წარმომადგენელნი გვეწვივენ. ჯერ კიდევ ნაკლებად გვიცნობენ იქ და ეს მეტად აფერხებს ჩვენი ქვეყნის განათლებულ ევროპასთან მტკიცედ დაახლოვებას.

რასაკვირველია, უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მარტო სოციალისტები კი არ მოგვეპატიჟნა, არამედ. აგრეთვე ევროპაში გაბატონებულ პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენლებიც. ევროპის ქვეყნებში სოციალისტური პარტიები ძლიერ სუსტნი არიან. მთავრობა იქ არა სციალისტურ პარტიების ხელშია. ამიტომ არ კმარა, რომ ევროპის სოციალისტებმა გაგვიცნონ და მათ მოგვიწონონ. საჭიროა რომ მმართველმა ჯგუფებმა გაიგონ ჩვენი მდგომარეობა და საჭირო დახმარება აღმოგვიჩინონ.

თუ ევროპის მმართველმა წრეებმა მხარი არ დაგვიჭირეს, ისე ჩვენ ძლიერ გაგვიძნელდება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გამოკეთება, ისე სესხს ვერ მივიღებთ და სანამ ამას ვერ მოვაგვარებთ, ჩვენი ფულის ფასი ასე დაცემული იქნება და სიძვირეც ასე გამწვავებული დარჩება.

ევროპის სოციალისტებს აქ სოციალისტური პარტიები უნდა იპატიჟებდენ. თვით მთავრობა კი, რომელიც მთელი ქვეყნის და მთელი ხალხის წარმომადგენელია, უფრო ევროპის მთავრობებსა და მმართველ წრეებს უნდა იახლოვებდეს.

სამწუხაროდ ჩვენს სოციალისტურ მთავრობას ჯერ კიდევ ვერ დაუდვია საზღვარი სახელმწიფოსა და პარტიის შორის.

ჩვენი ქვეყანა წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანაა. სოფლის მშრომელი მესაკუთრენი ხალხის დიდს უმრავლესობას შეადგენს. მათთვის მიუღებელია კერძო საკუთრების უარმყოფელი სოციალისტური მიმართულება. თუ ის ამ რევოლიუციის დროს მხარს უჭერდა სოციალისტებს, ამის მიზეზი სულ სხვა იყო. ჩვენი მესაკუთრე მშრომელი ხალხი, როგორც მისი მოძმე ევროპის მესაკუთრენი მუდამ წინააღმდეგნი იქნებიან სოციალისტების. მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც სასარგებლოდ მიგვაჩნია რომ ევროპის სოციალისტები ჩვენს მდგომარეობას გაეცნონ. ჩვენებურ სოციალისტებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს სახელმწიფოებრივ მუშაობაში. სოფლის და ქალაქის მეურნეობა მეტად აიწეწა მათს ხელში. სასარგებლოა რომ უფრო განათლებულმა და უფრო მომზადებულმა მათმა ევროპიელმა ამხანაგებმა გაიცნონ ყველა ეს შეცდომები და მათ სათანადო დარიგებაც მისცენ.

## საუბარი მეზობელთან.

პირველ ბარათის პასუხად, რომ წერილი გამოგიგზავნია ჩემო ზაქარო, მეტად მიამა, მაგრამ სწორე გითხრა ცოტა არ იყოს დამაფიქრა კიდეც. „სწერავ, რომ ყველაფერი კარგაა, თითით საჩვენებელი ვართო, მაგრამ აბა დაჰხედე რა ამბავია ამ ჩვენ თემებში. საქმეს არავინ აკეთებს, სოფლისთვის არავინა ზრუნავს, მის ჭირვარამს აინუნში არავინ აგდებს, სწორე გითხრა, იცი, ხან მომენატრება ძველი დროო“.

ამ ძველ დროს შენ ალბად, რუს ხელმწიფების დროს ეძახი, არა?

და სწორედ ამან დამაფიქრა და სწორედ ეს მეწყინა, მეწყინა იმიტომ, რომ თავისუფალ საქართველოს შვილი „იმ ძველ დროსა“ ნატრულობ.

განა ეგრე მალე დაგავიწყდა ჩემო ზაქარო ის ძველი დრო?

არა მგონია! შენ ალბათ გულისთქმას აჰყოლიხარ, მართლა ბევრი რამ დასაძრახისი შეგინიშნავს შენ სოფლის თემში და გულს იოხებ მაგითი.

ალბათ ეგრე იქნება თორემ აბა, როგორ უნდა დავიჯერო, რომ შენ მართლა იმ ძველ დროს იგონებდე და სანატრელად გახდომოდეს.

მჯერა შენი ჩივილი, რომ სოფელში არა კეთდება, მისი ჭირ ვარამი არავის აფიქრებს.

მაგრამ ვისი ბრალია, ეს ყოველივე?

ვისი ბრალია რომ თქვენ სოფლის თემში ისეთი ხალხი გყავს, რომლებიც არაფერს აკეთებენ და უვარგისნი გამოდგნენ?

შენ თუ არას მეტყვი და გაჩუმდები მე გეტყვი ვისი ბრალია.

ვისი და ისევ შენი, ნუ კი გაგიკვირდება ეს ჩემი პასუხი.

შენი მეთქი, იმიტომ გეუბნები, რომ ისინი შენი არჩეულები არიან, შენ დააყენე ისინი შენი სოფლის სათავეში და ჩააბარე მისი ბედ-იღბალი.

ასეა არა?

დღეს კი მეუბნები არ ვარგანანო, განა მე არა ვხედავ რომ ზოგადა ზოგ ადგილს მეტად შეუფერებელი ხალხია და იმიტომ კარგა მესმის შენი ჩივილი და მართლაც ამ საქმეს მოვლა უნდა, მოწესრიგება თორემ თუ ეს ასე გაგრძელდა შენი მტერი რომ ჩვენ სამშობლოს კეთილი არ მოელის.

თუ სოფლებში ასე გაგრძელდა, მაშინ ჩვენი სამშობლო იცი რას მომაგონებს; გუთანს, გამართულს მეხრე ხარ კამეჩებით, მაგრამ უკუღმართი მეხრეებით, რომელნიც საქონელს წაღმა-უკუღმა აბამენ უღელში, დაუჯდებიან მერე ზედ და ხმა მაღლა ოროველას დასძახებენ.

შენი მტერი რომ ასეთმა გუთნეულმა ვერა მოხნას და ვერა მოთესოს რა.

მარტო ერთ ადგილას იფხოკიალებენ და ტყუილად საქონელსაც მოღალავენ, თითონაც მოიღლებიან და ეშმაკის მუშად გამოვლენ.

როგორც იმ გუთნეულის მეხრეებს შეუძლიანთ სწორე შეაბან საქონელი უღელში და გუთანის დედამ სწორე ატაროს გუთანი და კვალი გაატაროს სწორედ. ისე შენ შეგიძლიან ისეთი ხალხი აირჩიო სასოფლო საქმეებისთვის რომელნიც მართლა სინდისიერად შეასრულებენ თავის მოვალეობას.

თუ ასე არ მოიქცევი მაშ ერთი მითხარი რა მაქნისია შენი უფლება რომლითაც შეგიძლიან აირჩიო სასურველი ხალხი?

თუ კვლავ ისეთებს აირჩევ და ისეთ ხალხს მისცემ ხმას, არა სჯობდა ეს უფლება სულ არ მოგეპოებინა?!

დღეს შენ კარგა უნდა გაიგო, რომ შენ სრული უფლება გაქვს აირჩიო შენი სასურველი ხალხი და შენ კი გადმომდგარხარ და ირჩევ ისეთებს, რომელიც არცა შენსკენ არის და არც ღვთისკენ, არამედ ეშმაკებისკენ გაურბის ჭკუა-გონება.

იცოდე თუ შენ საქმიანს და ხალხის მოსიყვარულე ხალხს არ აირჩევ შენ თემებში მაშინ შენა ჰღალატობ სამშობლოსაც და ხალხსაც.

იქნებ მითხრა ძალას მატანენ და იმიტომ ვიქცევი ასეო.

არავითარ შემთხვევაში ძალის დატანება არავის შეუძლიან დღეს შენ თავისუფალი მოქალაქე ხარ და შენი ნებაა ვისაც გინდა მისცემ ხმას, ვისაც გინდა აირჩევ.

ძალის დაგატანენ ქვეყანა და სამართალია, ხმა ამოიღე, სთქვი სადაც ჯერ არს, აი ძალა დამატანეს, ხმა მიმაცემინეს ისეთ სიისთვის, რომელიც მე არ მომწონდათქო და დამნაშავენი და მოძალადენი პასუხს აგებენ კანონის წინაშე.

მაშ ასე, შენ თემების თუ სხვა არჩევნების დროს ნურას დაერიდები, გულში ხინჯი არა შეგეპაროს რა და მიეცი ყოველთვის ხმა ისეთ ხალხს, რომლებსაც საქმისაც გაეგებათ და პირნათლადაც შეასრულებენ დავალებულს.

როდესაც შენ ასე მოიქცევი, როდესაც შენ ასეთ ხალხს აირჩევ, მაშინ იმ დაწყევლილ ძველ დროსაც აღარ მოიგონებ და აღარ შეჰნატრებ.

მწერ ამ ცოტა ხანში უნდა ავირჩიოთ ახალი თემიო.

კეთილი და ბატიოსანი, აირჩიეთ, აირჩიეთ მაგრამ გადარჩევით, თქვენი საკუთარი გონებით განსაჯეთ და ისე, ნურც მილიციელის დაგერიდებათ და ნურც სხვისა.

თუ ასე მოიქცევით შენ და შენი მეზობლები მერწმუნეთ ბევრს მოიგებთ და თქვენ სამშობლოსათვისაც დიდ საქმეს გააკეთებთ.

თქვენებიანთ ნიკა.

## ბოლშევიკები და მუშათა დელეგაცია.

რუსეთის დღევანდელი მთავრობა, თავის ხალხს რომ ყოველივე მართალს უმალავს ეს ხომ ყველასათვის ცნობილია, იგი ყოველის მხრივ ცდილობს მეზობელ სახელმწიფოების შესახებ ყალბი და ბოროტი ხმები გაავრცელოს. ასეთივე ყალბ ცნობებს ავრცელებენ აგრეთვე საქართველოს შესახებაც. ვინ იცის რა ჯოჯოხეთად არა ჰხატავენ ჩვენ ტურფა სამშობლოს, რას არ იტყვიან და რას არ ამბობენ. ვითომც საქართველოში ხალხს ახრჩობენ, მთელ დიდ მიტინგებსა ჰხვრეტავენ, ჰოოზგავენ ყველას, სიტყვის თავისუფლების ნებას არ იძლევიანო და კიდევ ვინ იცის რას არას.

ამ ხმების გასაბათილებლათ და გასაფანტათ საქართველოს მუშებმა აირჩიეს

# კვირიდან კვირამდე

**სპარსელები განაგრძობენ ბოლშევიკების დევნას და განადგურებას.**

**პეტროგრადში ბოლშევიკების მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებაა. რამდენიმე სახალხო კომისარი დაიჭირეს მოჰკლეს და ნევაში გადაყარეს**

**პოლონელები საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლას ბნევითარებენ: ბრძოლის მთავარი ხაზი იშლება ბრესტლიტოვსკისა და ოპალინის რაიონებში. პოლონელებმა ტყვედ წამოიყვანეს 2800 კაცი, 55 ტყვიისმფრქვევლები 4 ზარბაზანი და მრავალი სხვ.**

**ინგლისმა საზღვაო ბლოკადა გამოაცხადა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.**

**საბჭოთა რუსეთში 10 საათის სამუშაო დღეს აწესებენ.**

**სექტემბრის 15 ტფილისში ჩამოვიდა ევროპის სოციალისტური დელეგაცია.**

ხალხი, რომელიც უნდა წასულიყო რუსეთში და იქაურებისათვის აეწერათ ყოველივე რაც არის და როგორც არის ჩვენში. მაშინ გამოჩნდებოდა ვინ იყო მართალი და ვინ იყო მტყუანი. ამ ამბავს რუსეთის მთავრობა სიხარულით უნდა შეჰგებებოდა, და დელეგაციისათვის ყოველი დახმარება უნდა გაეწია, მაგრამ დასედეთ ამბავს: რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში ბ-ნი კიროვი აცნობებს ჩვენ მთავრობას, რომ მუშათა დელეგაციას რუსეთის მიწა-წყალზე ფეხს არ დავადგმევინებთო. როგორ უნდა აიხსნას ასეთი საქციელი? რუსეთის მთავრობა საქართველოს მუშებს ნებას არ აძლევს რომ მივიდნენ ისინი, გაიცნონ და გააცნონ თავისი თავიც და საქართველოც, მისი წყობილება.

აშკარაა მხოლოდ ერთი რამ, რომ მათ ეშინიანთ სიმართლისა, ეშინიანთ რომ ის ყალბი ხმები, რომელიც რუსეთშია გაბნეული საქართველოს შესახებ, გაიფანტებოდნენ და მეორეს მხრივ ქართველები ნათლად დაინახავდნენ რაც ხდება იქ, მართლა ისეთი სამოთხეა, როგორც თვით ამბობენ თუ მართლა მარტო საშინელებაა.

აშკარაა მარტო ეს უკანასკნელი, სიმშილი, ავადმყოფობა, ძმათა სისხლის ღვრა და სხვა არაფერი, თორემ რად შეეშინდებოდათ სიმართლის ჩვენება?

განა რა უნდა დაეჯეროს ასეთ ხალხს, ისინი ხომ მოვიდნენ ჩვენში, გავაცანით ჩვენი ქვეყანა, ვაჩვენეთ რაც გვაქვს და რაც ვართ, თვით კი ნებას არ აძლევენ საქართველოს ხალხს გააცნონ თავის წყობილება.

ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს რამდენათ მტარვალები არიან ჩაგრულ ხალხისა.

მათ უნდათ მხოლოდ სისხლის ღვრა და ამის გარდა მეტი არა სწამთ რა.

---

# ექიმის საუბარი.

ჩვენ აზრათ გვაქვს მივაქციოთ საზოგადოების და, მით უმეტეს, თვით გლეხკაცობის ყურადღება ხალხის ისეთ ადათებზე და ზნე ჩვეულებებზე, რომლებიც იწვევენ სხვა და სხვა ავადმყოფობას და მით ძირს უთხრიან ხალხის ჯანსაღობას და კეთილდღეობას.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ თუ რამდენად მისდევს გლეხი სუფთა და საღი წყლის სმას და როგორ აზარალებს უვარგისი წყლის სმა, ეხლა მინდა ცოტა რამ ვსთქვა სახლის შესახებ რომელშიაც ცხოვრობს გლეხი.

რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს სახლს? სახლი ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა, თავ-შესაფარია ავდარში, მეტადრე ზამთარში. სახლი უნდა იყვეს თბილი, ნათელი, მშრალი, ისე უნდა იყვეს მოწყობილი, რომ გარედან სიცივე არ შედიოდეს. შიგნიდან კიდევ სითბო არ გამოდიოდეს, ჰაერი უნდა იყოს სუფთა. ვნახოთ რამდენად დაცულია ეს პირობები სოფელში მეტადრე მთაში. მთაში გლეხის ოჯახი ცხოვრობს დიდ ოთახში, რომელსაც სრულიად არ აქვს ფანჯრები, სინათლე შემოდის კარებიდან ამიტომ ზამთარ-ზაფხულ კარი ღია უნდა იყოს, ოთახი მაინც ძალზე ბნელია, ოთახში რომ შეხვალ პირველ წუთებში სანამ თვალი მიეჩვევა ვერაფერს ჰხედავ. ოთახის შუა გულში მოთავსებულია კერა, რომელიც ბოლითავსებს ოთახს და რომლის გამო კარები ზამთარშიაც უნდა ღია იყოს, ასე რომ კარებს სულ სხვა დანიშნულება აქვს. კარებიდან შემოდის სინათლე და სიცივე გადის ბოლი და სითბო. ათბობს თუ არა სახლს კერა—სრულიადაც არა, მიუხედავათ იმისა, რომ დღე-ღამე ცეცხლი ანთია; საინტერესოა კითხვა რამდენი შეშა დასჭირდება ოჯახს წელიწადში; მთაში ცივი ზამთარი იცის. შვიდი თვის განმავლობაში ანუ 200 დღე უნდა განუწყვეტლივ ენთოს ცეცხლი, დღე-ღამეში ერთი მესამედი ურმის შეშა ადვილად დაიწვის, წელიწადში დაიჭერს 70 ურემს. აუარებელი შეშა იწვის მაგრამ სითბოს კი ვერ ჰნახავ. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში რომ ხშირად საქონელიც იქვე უბიათ, რომელიც ჰაერს აფუჭებს. მაშასადამე ოჯახი სცხოვრობს ბნელ, ცივ, ბოლით სავსე და ჰაერ გაფუჭებულ ოთახში. უნდა ჰქონდეს თუ არა ამ გარემოებას გავლენა მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე? რასაკვირველია მართალია კაცის ბუნება ეჩვევა და უძლებს ამ მკაცრ პირობებს, მაგრამ თუ კაცი წაბორძიკდა ე. ი. გაცივდა გზაში ან ჰარეთ მუშაობის დროს (რაიც გაცილებით ხშირად ხდება სოფელში ვიდრე ქალაქში, მაშინ ჩვენ სულ სხვა სურათს ვხედავთ. მაშინ ჩვენ ავადმყოფი დიდ ტანჯვას განიცდის. ძალიან ძნელად საღდება უმეტეს შემთხვევაში კი ესალმება წუთი-სოფელს და მხოლოდ იმიტომ რომ სახლი არ უვარგა. მთაში ძალიან გავრცელებულია ქარით ავადმყოფობა (რევმატიზმი). ერთ ოჯახს ვერ ჰნახავ რომ რომელიმე წევრი ქარით ავად არ იყოს. ავად გახდომა ძალიან ადვილია, მორჩენა კი შეუძლებელი. მართლაც და როგორ უნდა მორჩეს ავადმყოფი; პირველი წამალი სითბო გახლავთ, ამას ავადმყოფი მოკლებულია, ზამთრში იმის სახლი ვერ უწევს სამსახურს ერთნაირი პირობები, როგორც გარეთ ისე შიგნით კერასთანაც, რომ დააწვინონ ავადმყოფს უნდა მყუდრო და თბილი ოთახი, ერთსაც და მეორესაც იგი მოკლებულია; და აი სწორედ ამიტომაც ჰხდება რომ ავადმყოფის განკურნა ყოვლად შეუძლებელი ჰხდება და იგი იძულებულია მთელი თვისი სიცოცხლე იწვალოს, აუარებელი ფული დახარჯოს, ყველას მიმართოს მკითხავებსაც კი მაგრამ ამაოდ. ტანჯვიდან ხსნა არ არის მეტადრე როცა დადგება ცივი ზამთარი. იმის გარდა ოჯახსაც აკლდება ერთი სამუშაო ძალა, რაც მას აქვეითებს.

უფრო დიდ განსაცდელში ვარდება რომელიმე ოჯახის წევრი თუ გაცივების შემდეგ იმას გამოაჩნდება ჰვალები (პლევრიტი) ან ფილტვის ანთება. ამ შემთხვევაში სულ ამაოა წამალიც, ექიმის გამოცდილება, ცდაც, რჩევაც ერთად-ერთიმაგრამ ნამდვილი საშუალება ის არის რომ გამოსტაცო ავადმყოფი იმ საშინელ პირობებს რომელშიაც ის იმყოფება და მოათავსო სუფთა და თბილ ოთახში, და თუ ეს მოხერხდებოდა ხოლმე ავადმყოფის მორჩენა უზრუნველ-ყოფილი იქნება თუ არა და უმეტეს შემთხვევებში ორში ერთი შედეგი მოსდევდა, ან ავადმყოფი გარდაიცვლებოდა ან ჭლექით ხდებოდა ავად, რასაც ბოლოს მაინც სიკვდილი მოსდევდა.

ამის დასამტკიცებლად მე შემიძლია ბევრი მაგალითიც მოვიყვანო, მაგრამ საკმარისია ერთი მაგალითი.

გუდამაყრის ხეობაში მოჰხდ ეს ამბავი. ერთსა და იმავე დროს გაზაფხულზე ცხვრის დაბრუნების დროს, გზაში სხვა და სხვა სოფელში გახდნენ ავად ფილტვის ანთებით ორი ახალგაზრდა 16—17 წლის ბიჭები, შეძლებული ოჯახის შვილები

როცა მე ვნახე ორივე მათგანი, რასაკვირველია მაშინვე ურჩიე ყმაწვილის ჩამოყვანა საავადმყოფოში; როგორც იყო მოხერხდა და ავადმყოფი ჩამოიყვანეს, იგი მოვათავსეთ ცალკე ოთახში, ცოტა ხნის შემდეგ ავადმყოფს უკეთობა დაეტყო და მალე მორჩა კიდეც; იმას კი ნუ იფიქრებთ რომ წამლებმა მოარჩინეს.

მართალია წამლებსაც ვხმარობდი მაგრამ ყველაზე საჭირო და უებარი წამალი მისთვის იყო სუფთა და თბილი ჰაერი, და ჩემი იმედიც სრულიადაც გამართლდა.

რაც შეეხება მეორე ყმაწვილს: ის დარჩა სახლში, იმ სიცივეში, ბოლში და ვაივაგლახში და ვერ შევძელი იმის საავადმყოფოში მოთავსება, გამოესალმა წუთი-სოფელს. და განა ეს მარტო ერთ ოჯახის ზარალია, როცა მამას ხელიდან ეცლება უფროსი ვაჟი—შვილი, არა ეს მთელი ქვეყნის ზარალია, რადგან მაგისთანა მსხვერპლი ბევრია, მსხვერპლი ხალხის უბედურ ჩვეულებისა და უვიცობისა. არა ერთხელ და ორჯერ მე მქონია ამისთანა შემთხვევებში ხალხთან ლაპარაკი; ვეკითხებოდი ხოლმე მიზეზსა რათ განაგებენ ცხოვრებას ისეთ უსარგებლო და ყოვლად შეუფერებელ სახლში; პასუხი ერთი იყო ღარიბნი ვართო. მაგრამ სიმართლეს მოკლებული იყო ეს პასუხი, რადგანაც მდიდრებიც და ღარიბნიც ერთ გეგმის სახლებში სცხოვრობენ იმ განსხვავებით რომ მდიდრებს გვერდით თითო ხეირიანი ოთახიც აქვსთ, მხოლოდ.

შიგ მატყლს ინახამენ და სხვა სიმდიდრეს, სცხოვრობენ კი ძველებურად კერასთან. და არც შეძლება არის საჭირო რომ გადაკეთდეს ოთახი და გამოდგეს როგორც ლხინში ისე ჭირშიაც. მე ხშირად შევკითხებივარ გლეხსა განა ერთ-ერთ კედელში ფანჯრის ჩასმა ძნელია.

პასუხი: არა.

განა არ შეიძლება რომ კერას ალაგას, დადგა რკინის ფეჩი, მაშინ ხომ ბოლი აღარ დადგება სახლში, პირიქით ოთახი გათბება.

პასუხი—მართალია.

მაშ რატომ არ აწყობ საქმეს ისე როგორც უკეთესია.

პასუხი რა ვიცი, ჩვენ ამ ოთახშიც შეგვიძლია ცხოვრება.

იმ დროს როცა ბარში შეიგნეს და ცოტათ თუ ბევრათ მისდევენ და ითვისებენ ახალ აზრ, მთაში სრული კარჩაკეტილობა იქ ისევ ძველს ებღაუჭებიან და როგორც ეტყობათ ისე ადვილად ვერ დასთმობენ თავიანთ ჩვეულებებს.

სხვათა შორის მთაში ხშირია ჭლექი რა მიზეზია რომ მთაში ჭლექით ავადმყოფობა გახშირებულია, ბუნება მშვენიერი, წყალიც საჭმელიც უკეთესი.

მთაში უფრო კარგა სჯამენ ვიდრე ბარში; ჩემი აზრით სიჭლექეს მემკვიდრეობითი ხასიათი არა აქვს, მთაში, ერთად-ერთი მიზეზი ამ ავადმყოფობისა ის გახლავთ რომ გაციებული ავადმყოფი, რომელსაც გაუჩნდა ფილტვის ანთება ძნელადღა საღდება, ან კვდება, ან ფილტვის ანთებას და ჰვალას მოსდევს სიჭლექე. მაგალითიც ძალიან ბლომათ მინახავს.

ეხლა ახალი ხანი გახლავს ხანი საქართველოს აღორძინებისა და აღშენებლობისა და უეჭველია ამ საჭირბოროტო კითხვებსაც ყურადღება მიექცევა.

ექიმი **ნ. ია—შვილი.**

---

## მოქალაქენო!

გაცნობებთ, რომ აგვისტოდან დღემდის ხოლერით ავად გახდა 54 კაცი. მათ შორის აგვისტოს განმავლობაში 26 სექტემბერში კი, დღემდის ე. ი. 10 დღის განმავლობაში. 28.

მათგანი გარდაიცვალა 23 კაცი. ცხადია, ხოლერა ფართოვდება და მისგან სიკვდილიანობაც დიდია. მივაქცევ თქვენ ყურადღებას ამ გარემოებას და მოგიწოდებთ:

1) დაიცავით საერთო სისუფთავე თქვენს ბინებში.

2) არ დალიოთ გადაუდუღებელი წყალი.

3) დაიცავით საჭმელ-სასმელი ბუზებისაგან.

4) ერიდეთ ხილს; ნამეტურ ყურძენსა და ლეღვს, რომელთა გასუფთავება შეუძლებელია.

5) აიცარით ხოლერის საწინააღმდეგოთ.

მხოლოდ ამით უზრუნველყოფთ თქვენს სიცოცხლეს.

ხოლერის საწინააღმდეგო აცრა სწარმოებს უფასოდ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში (სალდათის ბაზარი) და კუკიის სამკურნალოში—(ანდრეევის და ჩერქეზოვის ქუჩის კუთხე) 9—1 საათამდე.

---

## დასჯილი ჯარის-კაცების განთავისუფლება.

სამხედრო მინისტრის მიერ შემდეგი განკარგულება იქნა გამოცემული: ვაცხადებ ცნობად და ვისდამც ჯერ არს განკარგულებისათვის, რთა თანახმად მთავრობის დადგენილებისა ამავე წლის 26 აგვისტოდან ის ჯარისკაცნი, რომელთაც საგანგებო სამხედრო სასამართლოების მიერ მისჯილი ჰონდათ სხვა და სხვა ვადით კატორგა და რომელნიც თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გაიგზავნენ ფრონტზე, განთავისუფლებულ იქმნას სასჯელისაგან პირობით. ე. ი. თუ აღნიშნულ ჯარისკაცებმა ჩაიდინეს სასჯელისაგან განთივისუფლების შემდეგ მზგავსი დანაშაულობა ან ბოროტ-მოქმედება, ისინი დასჯილნი იქნებიან იმ სასჯელით, რომელიც მათ მიუსაჯა საგანგებო სამხედრო სასამართლომ.

სამხედრო მინისტრი **გ. ლორთქიფანიძე.**

---

## უკანასკნელი ამბები

### ევროპის სოციალისტთა დელეგაცია საქართველოში.

ენკენისთვის 14 ევროპიდან ბათუმში ჩამოვიდა ევროპის სოციალისტური დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ემილ ვანდერველდე, კამინი ჰიუსმანსი, დე-ბრუკერი, მ-ს სნოუდენ ტომას შოუ, რამები მაკდონალდი, რენოდელი, ენგელსი, მერე, ვანდერველდეს მეუღლე და ჰიუსმანსის ქალი. ბათუმში მუშები და ხალხი დიდის აღტაცებით დაჰხვდა, ქუჩები ეროვნული დროშებით და ყვავილებით იყო მორთული. მისასალმებელი სიტყვები დელეგატების მხრივ „საქართველოს გამარჯვებით" მთავრდებოდა. ენკენისთვის 15 კი დელეგაცია ტფილისში ჩამოვიდა. ეს დღე სტუმართა პატივსაცემლად უქმად იყო გამოცხადებული. ქუჩები მორთული იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული დროშებით, მთავრობის და ქალაქის დაწესებულებანი კი გაჩირაღდნებული. დილიდანვე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ქუჩებში. გამწკრივდა ჯარი და გვარდია უიარაღოთ. ევროპიელმა სტუმრებმა ხალხის წინ წარმოსთქვეს სიტყვები სადაც აღნიშნავდენ იმ სიმშვიდეს და სიწყნარეს რომელიც ჩვენშია დამყარებული და აღფრთოვანებით გამოჰხატავდნენ იმ მომზადებას, რომელიც ქართველმა ხალხმა გამოიჩინა ამ რევოლიუციის და სახელწიფოს აღმაშენობლობის ჟამს
სტუმრები დაესწრნენ დამფუძნებელი კრების მუშათა კომიტეტის, პროფესიონალურ და სხვა სხდომებს.

დელეგაცია საქართველოს ყველა კუთხეს მოივლის და ადგილობრივ გაეცნობა ჩვენ ხალხის ყოფა ცხოვრებას.

## საქართველოს მუშათა დელეგაციას რუსები არ უშვებენ.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებმა საქართველოში, ბ-მა კიროვმა აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია საქართველოს მუშათა დელეგაციას არ შეუშვებს თავის ტერიტორიაზედო.

**სანერგეს შესაძენათ.**

ბათუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მიწად-მოქმედების სამინისტროს წ ნაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ახალშენის სანერგის შესაძენა ი მიეცეს მას უპროცენტო სესხის სახით 150,000 მანეთი ერთი წლის ვადით. მიწად-მოქმედების სამინისტრომ ხსენებულ საზოგადოების შუამდგომლობა დააკმაყოფილა იმ პირობით, რომ საზოგადოებამ შეასრულოს საამისო ფორმალური მხარე, თავისი მოღვაწეობა მიმართოს იმ მიზნისკენ, რომ სანერგეს ნაწარმოებით დაკმაყოფილდეს საერთოდ რესპუბლიკის საჭიროებანი. ხსენებულ მასალის განაწილება უნდა ხდებოდეს სამინისტროს შეთანხმებით და უპირველესად დაკმაყოფილებულ უნდა იყოს მიწად მოქმედების სამინისტრო.

# ახალი ამბები

## სეტყვა გორის მაზრაში

(საქ. კორესპ.)

ამ თვის შუა რიცხვებში, 15-ს მოვიდა დიდი სეტყვა, რომელმაც დააზარალა რამდენიმე სოფელი პატარა ლიახვის ხეობაში. საგრძნობათ დაზარალდა ხეხილი.

**სურსათი.**

**მარილი.** სასურსათო განყოფილებამ შეიძინა 40 ვაგონი თეთრი ევპატორიის მარილი. ამის გარდა ცენტრო-ბანკმა მიიღო ცნობა, რომ ფოთში დიდძალი მარილი მოვიდაო.

**ხორბლეულობის დამზადება.** ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მომარაგების სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავა ბორჩალოს მაზრაში ხორბლეულობის ყიდვის დამატებითი პირობები. მომარაგების სამინისტროს მიერ შეძენილი ხორბალი ისიც კი, რომელიც თბილისში გადმოგზავნეს, უნდა გადაეცეს ქალაქის სასურსათო განყოფილებას შემდეგი პირობით: მომარაგების სამინისტროს მიერ ბორჩალოში გაიგზავნება შეძენილი ხორბალი ქალაქის სასურსათო განყოფილების სახელზე. ხოლო დუბლიკატი გაეგზავნება მომარაგების სამინისტროს ხორბლეულობის შესაძენ კოოპერაციებისათვის, ქალაქის სასურსათო განყოფილებას. მომარაგების სამინისტროში მათ შეაქვს 10 მილიონი მანეთი. მუშაობის გასაადვილებლად განყოფილება შეუდგა გაგზავნოს გლეხებისათვის საჭირო საქონელი ხორბალზედ გადასაცვლელად.

# დეპეშები

**პეტროგრადში აჯანყებაა.**

დეპეშები გადმოგვცემენ, რომ პეტროგრადში აჯანყებაა ბოლშევიკთა წინააღმდეგ ხალხმა დაიჭირა კომისრები სცემა და შემდეგ ნევაში გადაყარა, ბოლშევიკთა ჯარი ხალხს ებრძვის.

**ბოლშევიზმი და საფრანგეთის მუშათა კლასი.**

**პარიზი.** სექტემბრის 5. პრესა აღნიშნავს რომ საფრანგეთის მუშათა კონგრესმა ბოლშევიკების წინააღმდეგ გაილაშქრა და მესამე ინტერნაციონალმა შესვლაზე უარი სთქვაო. ეს თვალსაზრისი საერთო კონფერენციის ნაციონალურმა საბჭომაც გაიზიარა. კონფედერანციის მდივანმა განაცხადა: ლენინიზმი შეკავშირებულ მუშებისათვის მიუღებელიაო. მელითონეთა ფედერაციის მდივანი, რომელიც ომის დროს ლენინსა და ტროცკის იცავდა ეხლა ბოლშევიზმი პეტროგრადიულ ხასიათის მილიტარისტულ დიქტატურათ მიაჩნია, და ის ისევე საშიშია ამბობს იგი, როგორც კაპიტალისტური მილიტარიზმო.

**ქალების საარჩევნო უფლება ამერიკაში.** ვაშინგტონი, სექტემბრის 6 კანონი ქალებისათვის აქტიურ საარჩევნო უფლების მიტინგების შესახებ არ განხორციელებულა.

მისი ცხოვრებაში გატარება დროებით გადაიდო.

**ვრანგელის ფრონტი.**

„პრავდას“ ცნობით კომუნისტთა მოსკოვის კომიტეტს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია ვრანგელის ფრონტს იდიდესი ყურადღება მიექცეს. კომიტეტი აღნიშნავს რომ საფრანგეთს გამოყავს ვრანგელი როგორც უმთავრესი დამკვრელი ძალა. ვრანგლს უნდა დონისა და ყუბანის ოლქებში შემოჭრა და სამხრეთის ფრონტის შექმნა. ვრანგელმა თუ თუ მიზანს მიაღწია საბჭოთა რუსეთს დაუკარგავსო, სწერს „პრავდა“—დონის ქვანახშირს. ყუბანის პურს, და ბაქოსი და გროზნის ნავთს, რაც რუსეთის სახალხო მეურნეობა დიდ უბედურებას შეუმზადეს.

*
* *

(ძველი რვეულიდან)

შენ ჩემო გულის ლამაზო
ჩემთვის იაც ხარ ვარდიცა,
როდესაც თვალით ვერ გხედავ
სევდაც მაწვება დარდიცა.

ჩამოდი, ჩამოცქრიალდი,
შეგხვდები ტანად საროსა,
გულ-მკერდზე დაგეწაფები
როგორც ირემი წყაროსა.

**შიო მღვიმელი.**

# მეხილეობისათვის

წინა წერილში აღნიშნული იყო, მოკლედ ხილის მნიშვნელობა ადამიანისათვის კერძოთ და მისი განვითარების მოკლე ისტორია საქართველოში. დღეს მეხილეობა ქართლის დიდი ნაწილის ერთად ერთ შემოსავლის წყაროდ არის გადაქცეული, მაგრამ სამწუხაროთ როგორც წინად ვამბობდი მისი მოვლა მოშენება სწორედ არ არის დაყენებული, არ არის წამლობა არ ჰხდება ჯიშების სწორი არჩევა და სხვა, შემდეგათ კი რას ვხედავთ, მთელ ქართლში იშვიათედ შემხვედრია ისეთი ხეხილის ბაღი სადაც საშინელი ავადმყოფობა არა მძინვარებდეს, რომელშიც სწორე და საწარმოვო ბაღის ყაიდაზე იყოს ხეხილი გაშენებული და თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, მაშინ ყოველი ბაღი პატრონს შემოსავლის მაგიერ ზარალის მეტს არას მოუტანს და 15—20 წლის შემდეგ შეიძლება მთელი ბაღები სრულიადაც ამოვარდეს. ამისათვის ყოველივე ამას დღესვე უნდა მიექცეს ყურადღება, დღესვე უნდა იქმნას მიღებული ყოველივე ზომები, რომ ეს დიდი შემოსავლის წყარო სრულიად ხელიდან არ წავიდეს.

უპირველესად ყოვლისა ბაღის გაშენების დროს შერჩეულ უნდა იქმნას განსაზღვრული ჯიშები. შეიძლება ითქვას რომ ყოველ სოფლისათვის საჭიროა ეს შერჩევა. რადგან ჰავასაც და ნიადაგსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხეხილის ღირსებაზე და ნაყოფიერებაზე. დღეს ყველამ თავის თვალით ნახა და შეამჩნია თუ რომელი ჯიშია ხელსაყრელი და რომელი ისხამს, რომელი ისხავს კაი ღირსების ხილს და ნაყოფიერად და არჩევის დროსაც უპირველეს ყოვლისა ეს უნდა იქმნას მხედველობაში მიღებული ყოველ სოფელში რომელმე ჯიშმა ივარგა. თუ ბაღი შემოსავლის წყაროდ გინდათ გადაიქცეს, მაშინ უეჭველად საჭიროა აირჩეს რამდენიმე ჯიში და ის დაახარდეს თორემ ის სურვილი რომ ბაღში ყოველი ჯიში უნდა მქონდესო ბოლოს და ბოლოს მეტად საზარალოა, რადგან ისეთ ბაღში სადაც მრავალი ჯიშია თავმოყრილი უეჭველია მრავალი ავადმყოფობა და სენიც იქნება, რომელიც საშინელის სისწრაფით ედება ხეს და სულ მოკლე ხანში უსპობს დღეს, შემდეგ განაყოფიერებაზე მოქმედობს როდესაც მრავალ ჯიშის ნაყოფის მტვერი ყვავილობის დროს ერთმანეთში ირევა არ არის რომ ჯიში ამითი ბევრს დაჰკარგას და ადვილი შესაძლებელია თავისი ნამდვილი სახე და აგებულობა უფრო დაჰკარგოს აი უმთავრესად უმთავრესი რამ რაც უნდა მხედველობაში მიღებულ იქმნას ბაღის გაშენების დროს სოფელში, მხარეში გამომდგარ ჯიშის შერჩევა და ჯიშების სიმცირე, ბაღში სულ რამდენიმე.

თორემ დღეს თვალი რომ გადაევლოს ჩვენს მებაღეობას ეს წესი არსად არ არის დაცული და შედეგათ ვხედავთ იმას, რომ მრავალი ბაღები არა ამ წესით მოშენებული არ იძლევიან სასურველ მოსავალს და მებაღემ ბოლოს არ იცის რა უწამლოს, როგორ მოუაროს ამ თავის გასაჭირს, გავეხოს და ახალა მოაშენოს, ამითი იღუპება ბოლო ათეული წლის ნაშრომ ნაღვაწი, არა და შემოსავალს არას იძლევა, შრომა თითქმის სრულიად არ უფასდება.

ამის შესახებ რასაკვირველია შეიძლებოდა კიდევ ბევრის თქმა მრავალ მაგალითზე მითითება, მაგრამ ეს შეიძლება შემდეგისთვის კადავდოთ და კერძოთ, როდესაც ამ საკითხს შევეხებით მაშინ აღვნიშნავთ. დღეს კი მიუთითოთ იმ მეორე დიდ ნაკლზე რომელიც დღეს დღეობით მებაღეობას ახასიათებს და ეს დიდი ნაკლი კი არის ბაღის უწამლობა მისი ავადმყოფობათა უყურადღებოთ დატოვება.

დღეს მთელს საქართველოში თითით საჩ. ისეთი მებაღე რომელიც თავის ბაღს სწამლობდეს მაგრამ მათი შრომაც თითქმის უნაყოფოთ რჩება ვინაიდგან რაკი დანარჩენები ზომებს არ ღებულობენ ავადმყოფობათა წინააღმდეგ იგი ადვილათ გადადის ნაწამლ ბაღში და ხარჯი თითქმის ანუნაზღაურებელი რჩება ასეთ მოპყრობას კი ხილი არ იმსახურებს, ის როგორც აღინიშნა მეტად შემოსავლიანია, სარგებლიანი, მაგრამ სათუთიც; თავის შემოსავალში უეჭველად ერთს მეოთხედს და მესამედს უკანვე მოგთხოვს და ეს მოთხოვნა გამოიხატება მასში რომ წამლი და მოვლით დაახარჯო ზედ.

ჩვენებურ მებაღეთა უმრავლესობას ჰგონია, რომ აი ბაღი დავახარე, ნიშანიც მომცაო და მას შემდეგ მის ბარვასაც კი ანებებს თავს, ტოტი გაიტანა და ფეხის მოსავალს დამიჩრდილავსო, იმას კი არ ჰფიქრობს რომ ფეხის მოსავალი კი არა მალე თვით ხეც აღარას მისცემს, რადგან სამგიერო არ ეძლევა, პატივით არ ეპყრობა პატრონი, არ სწამლობს და ყოველი ბაღი რომ კარგა გაიშინჯოს მცოდნე პირის მიერ აუარებელ სნეულებათ აღმოაჩენს: მარტო ტფილისის ყოფილ გუბერნიაში და უფრო კი გორის მაზრაში დღემდე დათვლილია ორასამდე სხვა და სხვა მავნე მწერი ავადმყოფობა. ყველა ესენი კი დიდ ზარალს აყენებენ, მოსავალს ანახევრებენ და ამესამედებენ და ზოგი ამ სენთაგანი კი ხეს დღეს სრულიად უსწრაფავს, ახმობს, არამთუ ხეს მთელ ბაღსაც. აი სწორედ ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და ჩვენებურმა მებაღემაც ამ მხივ იმუშაოს, ყოვლის საშუალებანით უნდა ებრძოლოს ამ დიდ უბედურებას ხეხილის სენს.

საჭიროა მთელმა სოფლებმა მთელმა საზოგადოებებმა დასდონ პირობა რომ ყოველ წლივ უწამლებენ და მოუვლიან თავის ბაღებს. უნდა დაწესდეს, რომ თუ ვინმემ ვერ შესძლო მოვლა მაშინ სოფელმა უნდა გააკეთოს მოსწამლოს. ასხუროს წუსვავი ყოველივე წამალი და შემდეგ მოსავლის ნაწილით აინაზღაუროს უნდა კარგად ახსოვდეს რომ ამითი მარტო სხვის საქმეს კი არ აკეთებს, არამედ საკუთარ თავისას და სასოფლოს რადგან ერთ ავადმყოფ ბაღს შეუძლიან სხვა მრავალი დაავადოს.

მართალია სამეურნეო ცოდნა ჩვენში ნაკლებათ არის მეხილეობის სწორე მცოდნენიც ძალიან ნაკლებათ მოგვეპოვებიან მაგრამ შეიძლება კითხვა, დარიგება და სხვა. ერობების აგრანომები და სხვა სპეციალისტები აქ ბევრს დაეხმარებიან.

ამ პატარა საუბარში მინდოდა მიმექცია ჩვენებურ მებაღის ყურადღება ამ ორ დიდ ნაკლზე რომლითაც ჩვენს მებაღეობას პირდაპირ განადგურება, მოელის, რასაკვირველია მებაღეობას კიდევ სხვა მრავალი ნაკლი აქვს მაგრამ ამაზე შემდეგ ვისაუბრებთ და ეხლა კი მე კმაყოფილი დავრჩები თუ ეს პატარა წერილი დაანახვებს ამ ნაკლებს და შესაფერისად გამოიყენებს.

**მებაღე.**

## მეღვინეობის კრიზისის გამო.

ა, წ. ენკენისთვის 10-ს ფინანსთა მინისტრს წარუდგნენ კახელ მევენახეთა კოოპერატიული—საზოგადოება „კახეთი-ს“ გამგეობის თავმჯდომარე ირ. დ. ფურცქაშვილი აგრონომი დ. გედევანიშვილი და საქ. მწარმოებელ კავშირის წევრი ლ. დევდარიანი. მათ შემდეგი მოხსენება წარუდგინეს მინისტრს „ჩვენი მეღვინეობა საშინელ კრიზისს განიცდის, პოლიტიკური პირობების შეცვლის გამო მას დაეკარგა ის მცირე ბაზარიც-კი, რომელიც ჰქონდა, როდესაც საქართველო შეადგენდა რუსეთის ნაწილს. საქართველოში მზადდებოდა სამ მილიონამდე ვედრო ღვინო, რომლის ორი მესამედი იხარჯებოდა ადგილობრივ, გარეთ კი გაჰქონდათ ერთი მესამედი, ე. ი. ერთი მილიონი ვედრო. საუბედუროდ ფართე მწარმოებელთა შორის აქამდისინ გამეფებულია ძველი მამა-პაპური წესი ღვინის დაყენებისა ქვევრებში, რის გამოც მზადდება მეტად ნაკლებად გამძლე და შედარებით დაბალი ღირსების ღვინო. ყოფილ რუ-

14

სეთში საქართველოს მეღვინეობას მფარველობა ჰქონდა იმ სახით, რომ საზღვარგარეთიდან შემოტანილ ღვინოზედ უდიდესი ბაჟი იყო დადებული ცხრა მანეთი ვედროზედ, როდესაც ადგილობრივი ღვინოები ფასობდენ 1 მ. 20 კაპ.-დან სამ მანეთამდე და უცხოეთიდან შემოტანილ ღვინოს ვერ შეეძლო კონკურენცია გაეწია ჩვენ ღვინოებისათვის იმ დიდ ბაზარზედ, რომელსაც წარმოადგენდა მთლიანი რუსეთი.

ეხლა კი ჩვენი მეღვინეობა უკიდურეს პირობებშია ჩაყენებული: ჩვენ ღვინოს რუსეთში გასავალი აღარ აქვს და მთელი მისი რაოდენობა, რომ არ დაეცეს წარმოება, უნდა გასაღდეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებშივე; მაგრამ აქაც მეღვინეობა განიცდის კონკურენციას განჯიდან და ერევნიდან შემოტანილ ღვინოს მხრივ. რომლის ღირსება შედარებით ქართულ-კახურ ღვინოსთან მეტად დაბალია და მცირე ფასებშიც იყიდება. მართალია, არსებობს შემოტანილ ღვინოზე მთავრობის მიერ დადებული ბაჟი, მაგრამ იგი იმდენად მცირედია (ორმოცი მანეთი ვედროზე) შედარებით არსებულ ფასებთან, რომ არაფერ გავლენას არ ახდენს ჩვენი ღვინის იმათთან თანასწორ პირობებში გასაღებაზე.

შესაძლებელი იყო ბაზარი მოგვენახა ევროპიულ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენებურ წესით დაყენებულ ღვინოს ევროპის ბაზარზედ სრულებით გასავალი არა აქვს. ჩვენ ამაში დავრწმუნდით ნიმუშების გაგზავნის შემდეგ ჩვენი მისიების საშუალებით ლონდონში. იტალიაში და გერმანიაში, საიდანაც მოგვივიდა პასუხი, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებში შეიძლება გასაღებულ იქმნეს ჩვენი ღვინო მხოლოდ, როდესაც იგი დაყენებული იქნება ევროპიული წესით.

ჩვენ მეღვინეობის ეხლანდელი მდგომარეობა, რომ სახელწიფოებრივ მეურნეობის თვალსაზრისით შევხედოთ. საზარალო დარგად უნდა ჩაითვალოს- იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში ასეთი წარმოება, როგორც მეღვინეობაა ხალხის კეთილდღეობის მძლავრ წყაროს შეადგენს. მოგეხსენებათ, რომ მეღვინეობას ესაჭიროება მთელი რიგი წამლეულება-შაბიამანი. გოგირდი, პარიზის სიმწვანე და იარაღები რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკა საზღვარ-გარედ იძენს და ყველა ამის ხარჯი, ეხლანდელ ფასებით სამას მილიონამდე, იძულებული ვართ დავფაროთ მეურნეობის სხვა დარგების შემოსავლიდან და იმის მაგივრად, რომ მეღვინეობამ უფრო გააძლიეროს ჩვენი სყიდვა-შეძენა ევროპის ბაზარზე, იგი საზარალოდ ხდება და სცემს ჩვენს ვალიუტას, რადგანაც მთელი შემოსავალი ღვინისა ადგილობრივე იხარჯება.

პირობები კიდევაც, რომ შეიცვალოს და რუსეთი გადაიქცევა ჩვენი მეღვინეობის ბაზრათ, მაშინაც ჩვენი მეღვინეობ ცუდ პირობებში იქნება ჩამდგარი, რადგან ევროპის ღვინო და ჩვენი ღვინო ერთ პირობებში იქნებიან ჩაყენებულნი და ჩვენი მეღვინეობა მფარველობას მოკლებული, კონკურენციას ვერ გაუწევს ევროპის ღვინოს.

კახელ მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოება ,,კახეთი''ს წევრთა საგანგებო ყრილობამ გაითვალისწინა, ყველა ეს და დაადგინა: ამ შემოდგომაზედვე დაიწყოს ნაწილობრივ მაინც ევროპიულ წესით ღვინის დამზადება და ბოლოს სრულიად გადავიდეს ამ წესით დამზადებაზედ. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ამ საშუალებით შესაძლო გახდება შევინარჩუნოთ ჩვენი მევენახეობა, გავაუმჯობესოთ ღვინის წარმოება და მეღვინეობას მივცეთ იმისთანა მიმართულება. რომ იგი არამცთუ არ წამოადგენდეს სახელმწიფო მეურნეობისთვის საზარალო დარგს, არამედ შეადგენდეს უმთავრესს შემოსავლის წყაროს. საზოგადოებას განზრახვა აქვს, ამ რიგად დამზადებული სავალიუტო საქონელი გადასცეს მომარაგების სამინისტროს განკარგულებაში, რომელიც განაგებს საზღვარგარეთ მეურნეობისათვის საჭირო საქონლის შეძენას.

საზოგადოება დარწმუნებულია რომ ამგვარი რეფორმა დიდიხანია უნდა მომხდარიყო ჩვენს მეღვინეობაში, მას, მეღვინეობას, დიდიხანია, უნდა მოეპოებინა შესაფერისი ადგილი უცხო ქვეყნების ბაზარზე, და დასასრულ ამ გვარ წარმოებათ გარდაქმნას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მთავრობის ყურადღებასაც დაიმსახურებს.

განზრახულ მიზნის განსახორციელებლად კოოპერატიულ საზოგადოება ,,კახეთი''ს უკვე აქვს მიღებული ზომები: შარშან შეიძინა თბილისში სარდაფი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 30.000,000 მანეთს და რომელშიაც თავსდება ასი ათასი ვედრო ღვინო; სოფელ კარდანახში შეიძინა დესეტინა ნახევარი მიწა, სადაც განზრახვა აქვს გააკეთოს მომავალში სარდაფი და ჯერ-ჯერობით კი აპირებს ააშენოს ღვინის საყენი (საწნახელი) და მასალების და იარაღის საწყობები, გაჰყავს რკინის გზის ლიანდაგის შტო: თელავში აქვს შეძენილი საწყობები ღვინისა და მასალისა და ამგვარივე საწყობები და საწურავები სურს გააკეთოს მომავალში კახეთის სხვა და სხვა კუთხეებშიც ,,კახეთს'' სწამს, რომ ამისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ მეღვინე მწარმოებელთა შეკავშირებით, როგორც ეს მოხდა ევროპის სოფლის-მეურნეობის განვითარებაში, ამისთვის აქვს მიღებული ზომები მცოდნეთა დახმარებით გაამრავლოს წევრთა რიცხვი, რომლებიც შესძლებენ დაამზადონ საუკეთო მასალა, ევროპიულ ღვინის დასაყენებლად. ყველა ამ განზრახვათა განსახორციელებლად საჭიროა დიდი თანხა, რომლის გაღებაც საზოგადოებას არ შეუძლიან თავისი ქონებიდან რადგანაც საზოგადოების მიერ განზრახულ გეგმის განხორციელებას აქვს უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, საზოგადოება ,,კახეთი'' სთხოვს ფინანსთა მინისტრს აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მოგვეცეს ასოცი მილიონი მანეთი ხანგრძლივი სამპროცენტიანი სესხი, ხუთი წლის ვადით.

ამასთანავე ვადგენთ: 1) სარდაფის, საწურავის და რკინის გზის ლიანდაგის შტოს გაკეთებ ს პროექტს და 2) ღვინის ევროპიულ წესზედ დაყენების ხარჯთაღრიცხვას.

სესხის უზრუნველ საყოფად საზოგადოება გარდასცემს მთავრობის განკარგულებაში მთელ, დამზადებულ ევროპიულ წესით ღვინოს და დააგირავებს იმ ოცი ათას ვედრო (20.000) ღვინის ნაშთს, რომელიც აქვს მას ა. წ. 1 ნოემბრისათვის.

ბ. მინისტრმა გულდასმით მოუსმინა დელეგაციას და აღუთქვა დახმარება მთავრობის წინაშე.

## კორესპოდენცია.

თელავის მაზრა.

დოვლათიანი კუთხეა კურთხეული კახეთი, რომ იტყვიან უფალმა თავის კალთა დააბერტყაო სწორედ ის არის. ადამიანის თვალი ვერ გაძღება ყურებით, როდესაც მის თვალწინ გადიშლება თვალუწვდენელი ველ-მ-ნდვრები და აჭოჩრილი ქედებით, გლეხიც პირზე ღიმ ათამაშებული მოუთმენლად მოელის თავის სარჩო საბადებლის მოგროვებას, რომ თავის თავიც დააკმაყოფილოს, და სახელმწიფოსაც მისცეს თავისი ხვედრი. მაგრამ წელს საუბედუროთ გლეხის გული დაამდუღარა საშინელმა სეტყვამ, თითქმის მიწასთან გაასწორა მთელი წლის ნაამაგარი და ხელ-ცარიელი დასტოვა მიწის მუშა. თითქმის მთელი თელავის მაზრა და ნაწილი სიღნაღისა გაანადგურა ამ საშინელმა ღვთის რისხვამ. სადღაა „წითელი ღვინის დედა, გამხარებელი გულისა“ ან ქარვ სავით აკუნწლული ყურძნის მტევნები. მის მაგიერ დაობლებული გამხმარი ვაზიღა დარჩა და შეიძლება წელს დაზიანებულმა კვლავისთვინაც მოაცდინოს მოსავალი. გამონაკლისს შეადგენს ალაზნის გაღმა მდებარე ზოგიერთი სოფელი. თითქო ღვთის განგებით, იგი გადარჩა ბუნების ავლების თამაშს, სეტყვისა და გვალვას და იგი კვლავინდებური პატარძალივით მორთული ღიმილით მთელის შემოდგომას. ბედნიერია შილდელი, არაფერში არავ ს დაემდურებოდა, რომ ყაჩაღთა ბრბოების, კომისრების თვითნებობისგან იყოს თავისუფალი. აქ ყაჩაღები შინაურულად, შუა სოფელში შუადღისას გიახლებიან, ნუნუას და კოხტად მომზადებულ ვარია-ინდაურებს შეექცევიან. როდესაც ზარხოშად შეიქნებიან დააჯირითებენ ცხენებს ან იმავე სოფელში ან გადავლენ ყვარელში, ენისელში და აბა თუ ვაჟკაცი ხარ და წინ დაუდექი და ნუ მისცემ მისგან შეწერილ 10000—20000 მ. იქვე თხასავით დაგკლავენ. ან თუ ვინმე გაბედავს და დაასმენს სადაც ბუნაგობენ ყაჩაღები ვაი იმის ტყავს. ასე ორ ცეცხლ შუაა ჩამდგარი ჩვენი გლეხი: ადმინისტრაცია მოითხოვს გაეცით ყაჩაღებიო თუ არა და ციხეებში ამოგალპობთ, დაგხვრეტავთ, გადაგასახლებთ; ყაჩაღები თავზარსა სცემენ ტერორით დამბეზღებელს. რა ქნას ამ უბედურმა? დარწმუნებული რომ იყოს რომ დაჭერილი ბოროტ-მომქმედი დაისჯება ღირსეულად კიდევ ჰო, თორემ სოფელი დ რწმუნებულია ხვალვე გამოუშვებენ და ჩემ სახლკარს ცეცხლში ამობუგავენ. ასეთი პირობებია შექმნილი მთელ კახეთში საერთოდ და შილდა-ყვარელ—ენისელში კერძოთ.

როგორ გავა იოლათ კახეთი დღეს წარმოუდგენელია. უმთავრესი შემოსავლის წყარო — ვენახი წელს გავერანებულია ისე რომ ზოგიერთ მსხვილი მეღვინე ვერ მიიღებს წელს ერთ ხელადასაც. ყანებიც გაფუჭდა უმეტეს ადგილას, ეგ არის ზოგიერთ ადგილებში გაღმა მშვენიერი სიმინდებია, მაგრამ რას იზამს მარტო სიმინდი აქაური გლეხი მეირათ ეტანება მჭადს და უპუროთ ძნელად მოუვა. ყველა უბედურებასთან ერთად, რომ დაუმატოთ იხ აუარებელი გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთათ აწევს სოფელს ადვილათ წარმოვიდგენთ როგორ მდგომარეობაშიც იმყოფება ჩვენი სოფელი.

ერთი რამ უნდა აღინიშნოს შილდის დაენისლის რაიონებში რამდენიმე ათასი სომეხი ლტოლვილია დასახლებული. ესენი თავს იფარავენ ძველ ეკლესიებში ცარიელ ნანგრევებში, ან თავის გაკეთებულ კარავებში. სანიტარიის მხრივ საშინელ მდგომარეობაში არიან: თითქმის შიშველ-ტიტველნი დამპალ ნაგლეჯებში გახვეულნი, უსუფთაონი და სხვა. ადვილი შესაძლებელია ამან გააჩინოს სნეულება, მით უმეტეს რომ ზამთარი მოახლოვებულია დი მაშინ მთელ ამ ადგილებს მოედება და მუსრს გაავლებს მცხოვრებლებს. რატომ არის ყურადღებას არ აქცევს თელავის სამაზრო ერობა და დროზე არ მიიღებს შესაფერ ზომებს.

გ. ყორჩიბაშ.

## „სასოფლო გაზეთის“ ფოსტა.

### 1) შეკითხვა

„სასოფლო გაზეთის“ რედაქციას

ბ-ნო რედაქტორო იმედი მაქვს არ დაიზარებთ და მომცემთ დართვებას თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მე მაქვს სამ დღიურამდე ხეხილის ბაღი, სარწყავი, მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ სხვა სნეულებათა შორის ვაშლის ხეს შევნიშნე ერთი, ჩემის აზრით მეტად საშინელი ავადმყოფობა. უმთავრესად ნორჩ ტოტებზე ჩნდებიან ბამბასავით თეთრი არსებანი რომელნიც, ხელს როდესაც წაუსვავ, სისხლივით წითელი და წებოიანი სითხე გამოდის, ამის მიზეზით ალბათ, ტოტების კანი სკდება და მერე მუწუკდება, შემდეგ ტოტი აღარ გააქვს. ამ საშინელ სენს ვერა დაუგვარე რა, ყოველთვის წყლითაც ვწმინდავ მაგრამ არა გამოდის რა, რამდენიმე კვირის და ხან დღის შემდეგ ეს სნეულება ისევ ჩნდება და ჩემდა სამწუხაროთ ყოველ წლივ იზრდება. ეს ავადმყოფობა ყველას ბაღშია. გთხოვთ თუ აქვს რამე წამალი მაცნობოთ და დაგვდეთ დიდი ამაგი როგორც მე აგრეთვე ჩემს მეზობლებს.

სოფ. ფლავისმანი. ა. დ.—შვილი.

### 2) შეკითხვა.

გთხოვთ მაცნობოთ როგორ მზადდება თამბაქოს წვენი. (მატლების წინაალმდეგი.

სოფ. ქიწნისი. სანდრო ძე.

---

### 1) პასუხი.

სოფ. ფლავისმანი: ა. დ.—შვილს.

თქვენ მართლაც, რომ კარგა დაჰკვირვებიხართ და კარგა შეგინიშნავთ ის ზარალი რომელსაც ეს ავადმყოფობა აყენებს ხეს ამ მატლს ქართულად ეძახიან სხვა და სხვა ნაირად: ,,სისხლიან ოზს,'' სისხლიან მატლს'' და ლათინურ ენაზე'' კი ეწოდება Eriosoma laniger ეს მატლი პირდაპირ საშინლება ჩვენს მებაღეობისათვის და მას საშინელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ მთელმა სოფელმა. წყლით ვერას დააკლებთ. საუკეთესო წამალი მის მოსპობის წინაალმდეგ არის დაავადმყოფებულ ხის ძირიანათ ამოჭრა და დაწვა, მაგრამ რადგან ამით მთელ ბაღს მოელის ამოგდება მაშინ, ავადმყოფი ტოტების უნდა დაეჭრას და დაიწვას, ისე ფრთხილად კი რომ მატლი ძირს არ ჩამოცვივდეს. ზამთრობით ხეს უნდა ასხუროთ ნავთ-კირის სითხე და დაავადმყოფებული ტოტები სუფთად და ფრთხილად უნდა გაწმინდოთ მაზუთით ან პირველ სითხით.

1) ნავთ-კირის სითხე (მაგარი) მზადდება ასე. გირვანქა განელებული კირი, დანაყილია გახსნილ უნდა იქმნას ნახევარ ვედრო წყალში შემდეგ უნდა მიემატოს ორ გირვანქა ნახევარი ნავთი და უნდა ურიოთ იმდენს ხანს სანამ ერთმანეთში კარგად არ აირევა. ესე მომზადებული სითხე იხმარება ზამთარში და ესხურება მთელ ხეს, ზაფხულში კი იწმინდება მსხვილი ტოტები და ხის ძირი, რადგან შეიძლება ზაფხულში ფოთოლი დაიხრუკოს.

სუსტი ძალისა მომზადდება ისევე მხოლოდ ნავთი უნდა აიღოთ გირვანქა ნახევარი და კირი კი მეოთხედი გირვანქისა. ამ სითხ თ შეიძლება ზაფხულში ასხუროთ მთელს ხეს რადგან მაინც და მაინც ფოთლებს არ ავნებს.

### 2) პასუხი.

ერთ ვედრო წყალში უნდა ჩაიყაროს თამბაქოს ფოთოლი, ღერო და მისი ნაჭრები და უნდა იდგეს ხუთი დღე მაინც. ადუღოთ 3 საათი და შემდეგ გაწუროთ. შესხურების წინ უნდა აურიოთ ერთი ვედრო კიდევ.

რედაქტორი ნ. კაიშაური

სტამბა ამხ. „ხელოვნება“ ველიამინოვის ქუჩა № 20.